პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 186 (6241)

1978 წ. 21 სექტემბერი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ჭრიალებს მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადის ალამი

# აი, ვინ გვასახელა









ს. აზიზოვის ფოტოები.
(სპეციალურად „ლელოსთვის“).

**ტაშკენტიდან** სასიხარულო ცნობა მოვიდა — წარმატებას მიაღწიეს ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლე-აკრობატებმა. უკვე ვიუწყებოდით, რომ გუნდურ ჩათვლაში მათ უკრაინის [illegible] გუნდების შემდეგ მესამე საპრიზო [illegible] ქართველმა ჭაბუკებმა, თბილისის 114-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა გ. გაგოშვილმა, გ. ალაპიშვილმა, თ. ბერაძემ და თ. ალაპიშვილმა (სურათზე ზემოთ მარცხნივ) პირველი ოქროს მედლები შესძინეს გუნდს, ხოლო გოგონათა სამეულების ასპარეზობაში თბილისის 143-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ნ. კიკილაშვილმა, მ. მნათობიშვილმა და მ. შილაკაძემ (სურათზე ქვემოთ მარცხნივ) სპარტაკიადის ვერცხლის მედლები მოიპოვეს. ვერცხლის მედლები გადაეცათ აგრეთვე, ა. ზალინიანსა და ს. სისოევს (ვაჟთა ძალოსნური წყვილები, სურათზე ზემოთ მარჯვნივ). 12 სექტემბრის სალამოს კი ჩვენმა ჭაბუკმა რაპირისტებმა (ვ. აფციაური, გ. გელაშვილი, ზ. ჯაგიშვილი, გ. ცირეკიძე) გამოიჩინეს თავი და გუნდური მეორე ადგილი დაისაკუთრეს. ამ სურათზეც (ქვემოთ მარჯვნივ) საქართველოს მოფარიკავეთა ნაკრები გუნდია აღბეჭდილი.

მიმდინარეობს შეჯიბრებები თავისუფალ ჭიდაობაში, მძლეოსნობაში, ჭადრაკში, ფრენბურთსა და ფეხბურთში.

ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილთაგან ნორჩმა ფალავნებმა ბ. ღვინჯილიამ, მ. მერაბიშვილმა, ჯ. ტატუაშვილმა და ჯ. მუზიაშვილმა ფინალურ ბრძოლებში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს.

**სპარტაკიადის** შტაბში გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირისა და უზბეკეთის სსრ განათლების სამინისტროთა, უზბეკეთის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის და სპორტკომიტეტის პასუხისმგებელმა მუშაკებმა. პრესის წარმომადგენელთა წინაშე გამოვიდა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის მთავარი მსაჯი კ. ქაროვი.

აღინიშნა, რომ მიმდინარე სპარტაკიადაზე სპორტის მთელ რიგ სახეობებში შეიმჩნევა აქცენტების გადაადგილება: ტრადიციულად ძლიერ კოლექტივებს საკმაოდ ენერგიულად ავიწროებენ ადრე არც თუ ისე მაღალი შედეგების მქონე გუნდები. ასე, მაგალითად, დაშნით მოფარიკავეთა შეჯიბრებაში თურქმენეთის, საქართველოს, ყირგიზეთის და უზბეკეთის „მუშკეტერებმა“ საპრიზო ადგილები ჩამოართვეს მოსკოვის, რსფსრ-ს, უკრაინის ნაკრები გუნდების წევრებს.

ცნობილი გახდა, რომ ტაშკენტში სასპარეზოდ ჩამოვიდა 6,5 ათასი მონაწილე, 1000 მწვრთნელი, 1920 არბიტრი. მოსწავლეთა სპარტაკიადებისთვის ასევე სარეკორდოა აქ აკრედიტებულ ჟურნალისტთა რიცხვიც — 188.

* * *

**კიევში** დამთავრდა მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება აკადემიურ ნიჩბოსნობაში. გაიმარჯვეს ლენინგრადელმა მოსწავლეებმა. მეორე ადგილზე არიან მოსკოველი, ხოლო მესამეზე — უკრაინელი სპორტსმენები.

# შეჯიბრებათა ჩატარების სრულყოფის მიზნით

**...ორტულ** შეჯიბრებათა ჩატა... ის სრულყოფის მიზნით საქა... ველოს სსრ განათლების სამი... სტრომ რესპუბლიკის ზოგადსა... განათლებლო სასწავლებლები... ის შეიმუშავა შინასასკოლო ... სასკოლათაშორისო სპორტული ... ბრებების სავალდებულო სტა... ლური კალენდარი, რომელიც ...7-78 სასწავლო წელს შემოღე... იქნა რესპუბლიკის სკო...ში.

...ლენდრის შემოღებამ დიდად ...უწყო ხელი მოსწავლეთა შო... მიზანდასახული სპორტული ...ბრებების ჩატარებას. მთელ ... რაიონებში, სადაც ადგილობ... ... კომკავშირულმა, პროფკავ...ულმა, განათლებისა და ფიზ...ტურულმა ორგანიზაციებმა ... მოთხოვნების შესაბამისად ...რთეს მუშაობა, საგრძნობ... გაუმჯობესდა მოსწავლეთა ...ური მომზადების დონე. ამის ...თესო დადასტურებაა 1977-...ლებში ჩატარებული „იმედის ...ებისა“ და მრავალ მრავალჯე... დის რესპუბლიკური ფინალური შეჯიბრებების შედეგების ანალიზი. ამავე დროს ზოგიერთ რაიონში თავი აარიდეს ბავშვებთან სპორტული მუშაობის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გარდაქმნას, არ ჩაატარეს სტაბილური კალენდარით გათვალისწინებული შეჯიბრებები, შეცვალეს ასპარეზობათა ჩატარების ვადები, სპორტული ღონისძიებები ჩაატარეს სკოლების პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალის გავლის ვადებთან შეუთანხმებლად, რამაც გამოიწვია მოსწავლეთა გადატვირთვა უდროო და უსაფუძვლო შეჯიბრებებით, სასწავლო გეგმისა და კლასგარეშე მუშაობის სისტემატურობის დარღვევა...

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ გადაწყვიტეს დამტკიცდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლებისათვის სპორტული ღონისძიებების სტაბილური კალენდარი. ადგილობრივ პროფკავშირულ, კომკავშირულ, განათლების და ფიზკულტურულ ორგანიზაციებს დაევალა მტკიცედ დაიცვან კალენდარში გათვალისწინებულ ღონისძიებათა ჩატარების ვადები. უნდა აიკრძალოს სკოლებს შორის ცალკეული ორგანიზაციების მიერ შეჯიბრების ჩატარება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოსთან შეთანხმების გარეშე. ფიზიკური კულტურისა და სპორტის სათანადო კომიტეტებს დაევალათ მასობრივი ღონისძიებების ჩატარების სპორტული ბაზებითა და მსაჯებით უზრუნველყოფა, პროფკავშირების სათანადო ორგანოებს კი საშემოდგომო, ზამთრის, გაზაფხულის და ზაფხულის არდადეგების დროს მოწინავე კლასებისათვის და პერსპექტიულ მოსწავლეთათვის სპორტულ-საბანაკო შეკრებების ჩატარება.

# ტუში...

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა მესამე წრის პირველი ტურის მატჩები იმ გუნდებისთვის, რომლებიც იბრძვიან VII-XII ადგილებისთვის. შეხვედრები ასე დამთავრდა:

ასკ (კიევი) — ასკ (ბაქო) 29:18 (14:9),

ასკ (ლვოვი) — ასკ (მინსკი) 26:17 (9:9),

„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „ცელტნიეკსი“ (რიგა) 29:20 (17:7).

## გამარჯვებით დაიწყეს

**ოლიმპიურმა** ჩემპიონმა — საბჭოთა ქალთა ნაკრებმა გამარჯვებით დაიწყო ვილნიუსში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირი. ანგარიშით 18:13 (11:9) ჩვენმა ხელბურთელებმა დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიის ნაკრები. იუგოსლავიის გუნდმა მწვავე ბრძოლაში სძლია ლატველ ხელბურთელებს — 19:17 (11:8).

## სსრ კავშირის ჩემპიონატი

**ზაპოროჟიეში,** სპორტკლუბ „სტრელას“ დარბაზში დაიწყო უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის (პირველ-მეექვსე ადგილებზე მებრძოლი გუნდები) ბოლოსწინა, მესამე წრე.

მოგვყავს პირველი მატჩების შედეგები: ცსკა — „გრანიტასი“ — 30:25 (15:13), ზიი — ზას-ი — 19:20 (9:11), „კუნცევო“ — მაი — 25:19 (15:9).

ზაპოროჟიეს ტური 24 სექტემბერს დამთავრდება.

## ხელბურთი

ამ შეჯიბრებაში, რომელიც წრიული სისტემით მიმდინარეობს, გამოდის, აგრეთვე, მსოფლიოს ჩემპიონი — გდრ-ის ნაკრები და დანიის გუნდი.

ვილნიუსის ტურნირი ერთ-ერთი უკანასკნელი ეტაპთაგანია მსოფლიო ჩემპიონატის წინ, რომელიც ნოემბერ-დეკემბერში გაიმართება ჩეხოსლოვაკიაში.

# ლაპარაკობენ ჩემპიონები

**მძლეოსნობა**

თბილისის „დინამოს" სტადიონზე გამართულ მძლეოსანთა საკავშირო ჩემპიონატის დღეებში ჩვენმა კორესპონდენტმა **ზ. ჩიხლაძემ** ინახულა რამდენიმე გამარჯვებული და მათ შემდეგი კითხვებით მიმართა:

**1. კმაყოფილი ხართ თბილისური შედეგით?**

**2. რას იტყვით ევროპის ჩემპიონატზე თქვენი გამოსვლის შესახებ?**

**3. რა შედეგებს მოელით უახლოეს მომავალში?**

**4. ვის თვლით მთავარ მოწინააღმდეგეებად მოსკოვის ოლიმპიადაზე და რა მაჩვენებელი იქნება საჭირო გამარჯვებისთვის?**

**5. თქვენი ჰობი?**

აი, მათი პასუხები:

**ვიქტორ სანეევი — სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი სამხტომში:**

1. ტრავმას რომ არ შეეშალა ხელი, უკეთესად ვიასპარეზებდი. აქვე უნდა ითქვას, რომ პირველად გამოვდიოდი ასეთი ძლიერი განათების ქვეშ, რამაც უდავოდ იმოქმედა შედეგებზე.

2. პრაღაში უკანასკნელ მომენტში გამასწრო მეტოქემ. ერთი დარჩენილი ცდით კი ძნელია ყველაფრის გამოსწორება.

3. უახლოეს მომავალში იაპონიაში გამოვალ დიდ საერთაშორისო ტურნირში. შედეგები, ალბათ 17 მეტრის ფარგლებში იქნება.

4. ოლიმპიადაზე ყველა მთავარი მოწინააღმდეგეა. ოლიმპიური ოქრო კი 17,40-17,50 მეტრის ფარგლებში უნდა ვეძიოთ.

5. ოლიმპიური ოქროს მედლების შეგროვება და ლიტერატურა.

**სვეტლანა კრაჩევსკაია — სსრ კავშირის 5-გზის ჩემპიონი ბირთვის კვრაში:**

1. კმაყოფილი ვარ. პირველივე ცდის შემდეგ (20,70 მ) დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემს შედეგს ვერავინ გადააჭარბებდა.

2. ევროპის ჩემპიონატში მწვრთნელები V ადგილს მიწინასწარმეტყველებდნენ, ასე რომ IV ადგილი წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს.

3. არა მგონია, რომ წლეულს შედეგი გავაუმჯობესო.

4. ჩეხი ფიბინგეროვა, გდრ-ს სპორტსმენები, ჩვენი ისაევა და ბუფეტოვა. ოქროს მოსაპოვებლად 21,70 მეტრის ჩვენება იქნება საჭირო.

5. სპორტმა თითქმის ყველაფერი შთანთქა. მიყვარს მუსიკა, წიგნები. ისე კი, ყველაზე დიდ სიამოვნებას ჩემს მეუღლესთან და 4 წლის გოგონასთან ერთად ბუნების წიაღში გასეირნება მანიჭებს.

**ვლადიმერ იგნატენკო — ევროპის 1978 წლის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი 100 მ რბენაში:**

1. თბილისიდან სამი „ოქრო" მიმაქვს. მოდი და ნუ იქნები კმაყოფილი. თქვენი სტადიონი ჩემთვის საუკეთესოა სსრ კავშირში, სარბენი ბილიკი — მეტად „სწრაფი".

2. პრაღაში მოპოვებული ბრინჯაო წარმატებად მიმაჩნია — მე ხომ პირველად მივიღე მონაწილეობა ასეთ დიდ ფორუმში.

3. ვფიქრობ, 100 მეტრი გავირბინო 10,30 წამზე სწრაფად, 200 მეტრზე კი ვაჩვენო 20,55 წამი.

4. მთავარი მეტოქეები ამერიკელები იქნებიან. ჩვენებიდან ბორზოვი და კოლესნიკოვი. შედეგი — არანაკლებ 10,07 წამი.

5. მუსიკა.

**ტატიანა პროვიდოხინა — ევროპის 1978 წლის ჩემპიონი 800 მეტრზე რბენაში:**

1. ძლიერ კმაყოფილი ვარ ჩემპიონობით, თქვენი შესანიშნავი ქალაქით და განსაკუთრებით, სტუმართმოყვარე ქართველი ხალხით.

2. ოქროს მედალმა ძლიერ გამახარა, სიცივემ კი ყველა შეგვაწუხა.

3. მძიმე სეზონის შემდეგ მთავარია დასვენება, შედეგების გაუმჯობესებაზე ჯერჯერობით არ ვფიქრობ.

4. იმედი მაქვს ოლიმპიადაზე რომელიმე საბჭოთა სპორტსმენი გაიმარჯვებს, შედეგი კი 1.53-ის ფარგლებში იქნება.

5. სპორტს ბევრი დრო მიაქვს. მიყვარს კინო და თეატრი.

**ვლადიმერ ცეპელიოვი — ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი სიგრძეზე ხტომაში.**

1. დიახ. შედეგსაც (803 სმ) არა უშავს რა.

2. პრაღაში ცუდმა ამინდმა შემიშალა ხელი, თუმცა ყველა ერთნაირ პირობებში ვიმყოფებოდით.

3. განზრახული მაქვს შედეგი 8,25 მეტრამდე გავზარდო.

4. ამერიკელები — რობერტსი და უილიამსი, ფრანგი რუსო, იუგოსლაველი სტეკიჩი და ჩვენი პოდლუჟნი.

5. თანამედროვე პოპულარული მუსიკა.

**მარია კულჩუნოვა — სსრ კავშირის რეკორდსმენი 400 მეტრზე რბენაში:**

1. გამარჯვებით — კი, შედეგით — არა.

2. ევროპის ჩემპიონატზე ჩემთვის დიდი პატივი იყო ისეთი სპორტსმენების მხარდამხარ გამოსვლა, როგორებიცაა მსოფლიო რეკორდსმენი კოხი და უბერებელი შევინსკა.

3. წლეულს კიდევ ორ შეჯიბრში მივიღებ მონაწილეობას — საერთაშორისო ტურნირში იაპონიაში და უკრაინა-რუმინეთის მძლეოსანთა მატჩში, შედეგის გაუმჯობესებაზე კი გაისად, სპარტაკიადაზე ვიზრუნებ, მთავარია 50 წამიდან გამოვიდე.

4. იგივე კოხი და შევინსკა. ვფიქრობ, მხარს ამიბამენ პროროჩენკო და სიდოროვა.

5. ინსტიტუტი და სპორტი.



ს უ რ ა თ ზ ე: სსრ კავშირის ჩემპიონი 3000 მეტრზე რბენაში ანდიჟანელი სვეტლანა ულმასოვა დისტანციაზე.

გ. დოლენჯაშვილის ფოტო.

## ცეცხლის ხაზზე მეგობრები არიან

**ლვოვში** გაიმართა მეგობრული არმიების სპორტსმენთა მე-13 ჩემპიონატი ტყვიის სროლაში. საბჭოთა გუნდის წევრმა, მ. პანფილოვმა მცირეკალიბრიანი შაშხანით „გაქცეულ ტახზე" 50-მეტრიდან ასპარეზობაში 580 ქულა მოაგროვა, რაც ერთი ქულით სჯობს მსოფლიო რეკორდს.

**პოლონეთის** ქალაქ ბიგდოშჩის სასროლეთზე დამთავრდა რვა სოციალისტური ქვეყნის სპორტსმენთა შეჯიბრება. ყველას აჯობეს საბჭოთა დოსააფელებმა. მათ 198 ქულა მოაგროვეს და 67 ქულით ჩამოიტოვეს უნგრეთის გუნდი, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა. შემდეგ ადგილებზე გავიდნენ: პოლონეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, გდრ-ისა და მონგოლეთის სპორტსმენები.

**ფრენბურთი**

**იტალიის** ექვს ქალაქში (რომი, ბერგამო, უდინე, ვენეცია, პარმა, ანკონა) დაიწყო ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების IX მსოფლიო ჩემპიონატი. საბჭოთა ფრენბურთელები ქალაქ უდინეში გამოდიან ბრაზილიის, ტუნისის, საფრანგეთის კოლექტივებთან ერთად.

24 გუნდი ექვს შესარჩევ ჯგუფად არის დაყოფილი. ქვეჯგუფებში I-II ადგილებზე გამოსული გუნდები შეადგენენ ორ ნახევარფინალურ ჯგუფს (შესარჩევ ჯგუფებში ნათამაშევი მატჩების შედეგები გუნდებს გაჰყვებათ ნახევარფინალებში). ნახევარფინალურ ტურნირებში პირველ ორ ადგილზე გასული გუნდი შეადგენს ფინალურ ოთხეულს, სადაც გამოვლინდება მსოფლიო ჩემპიონი.

საბჭოთა ფრენბურთის ღირსებას დაიცავენ მოსკოველი არმიელები ა. პოლიშჩუკი, ა. სავინი, ო. მოლიბოგა, ვ. კონდრა; ლენინგრადის „ავტომობილისტის" ფრენბურთელები ვ. ზაიცევი, ვ. დოროხოვი, ა. ერმილოვი; პ. სელივანოვი (რიგის „რადიოტექნიკი"), ფ. ლაშჩენოვი, ვ. კრივოვი (ორივე — ვოროშილოვგრადის „ზვეზდა"), ვ. ლოორი (ტალინის „კალევი"), ჩერნიშოვი (მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი).

საბჭოთა გუნდს მსოფლიო ჩემპიონატებში ასეთი შედეგები აქვს: 1949 წ. — I, 1952 — I, 1956 — III, 1960 — I, 1962 — I, 1966 — III, 1970 — VI, 1974 — II.

**სროლა**

პროგრამის უკანასკნელ სახეობაში [illegible] ებმა და პატუკებმა I და II ადგილები დაი[illegible] შაშხანით 50 მეტრზე სროლაში. იუნიორებში იმარჯვა ა. პასტერნაკმა (ზაპოროჟიე) — 576 ქულა, მეორე ადგილზე კი ი. ზავოლოდკო (სევეროდონეცკი) გავიდა — 570. ვაჟებში უძლიერესმა ი. ფედკინმა (მოსკოვი) 569 ქულა მოაგროვა და 4 ქულით აჯობა მეორე პრიზიორს, კიეველ ა. გურევს.

25 მეტრიდან პისტოლეტის სროლა იუნიორებში მინსკელმა ა. გოლუბმა მოიგო — 585, ხოლო ვაჟებს შორის პოლონელმა კ. მაცურმა იმარჯვა — 585, მეორე ადგილზეა ბრიანსკელი ს. პიჟიანოვი — 584, მესამეზე — კიეველი გ. სოლოდოვნიკოვი — 583.

## ტრადიცია გრძელდება

კარგ ტრადიციად დამკვიდრდა ქიათურის ლენინის სახელობის მაღაროთა სამმართველოს ფიზკულტურული კოლექტივის პირველობა ფეხბურთში.

აქ უკვე მეექვსე წელია იმართება შიდასაკოლექტივო პირველობა ამ სახეობაში. წლევანდელ გათამაშებაში მონაწილე 8 გუნდი დაყოფილი იყო 2 ქვეჯგუფად. პირველში გაიმარჯვეს ტრანსპორტელებმა (მწვრთნელი რ. ტატიშვილი), ხოლო მეორეში — ინჟინერ-ტექნიკოსთა (მწვრთნელი ჯ. გვაზავა) განყოფილების კოლექტივებმა. გადამწყვეტი მატჩი მოიგეს ტრანსპორტელებმა (3:2), რომლებსაც გადაეცათ სიგელები და საჩუქრები.

**რ. თურმანიძე**

**[illegible]**

**✦ სამტრედია**

ქალაქის საჭადრაკო კლუბში ჩატარდა მოსწავლეთა გუნდური პირველობა. უძლიერესის სახელი დაისაკუთრა რკინიგზის 24-ე საშუალო სკოლის გუნდმა, მეორე ადგილზეა მე-2, მესამეზე — 1-ლი საშუალო სკოლის კოლექტივები. დაფების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს: გ. ახობაძემ (მე-3 სკოლა), დ. ახობაძემ (24-ე რკინიგზის სკოლა) და ნ. მელიამ (მე-2 სკოლა).

* * *

სამტრედიის რაიონის მოსწავლეთა პირველობაში შვიდი მოჭადრაკე მონაწილეობდა. ჩემპიონის სახელი მოიპოვა 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლემ მარინე გოგიშვილმა. მეორე ადგილზეა ე. ვასილიევი (რუსული საშუალო სკოლა), მესამეზე — ზ. ხვედელიძე (ნაფალაურის რვაწლიანი სკოლა).

**ი. ნიკოლეიშვილი.**

**(ჩვენი კორ.).**

**ერთ ფიზკულტურის კოლექტივში**

# თანხები არის, მუშაობა?

**რესპუბლიკის** პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრებამ აღნიშნა, რომ მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა რესპუბლიკაში ვერ პასუხობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანებს. აქტივის კრებამ დასახა ღონისძიებანი, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესება, პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანიზაციებს, სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ გადაჭრით გააუმჯობესონ მუშა-მოსამსახურეთა შორის მასობრივ-ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი.

მას შემდეგ ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი რამ შეიცვალა. აქტივის კრების დადგენილებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მთელი რიგი საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელთა შორის მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ამაღლების საქმეში. მაგრამ სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვხვდება ორგანიზაციები, რომლებშიც პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მიერ გატარებულმა ღონისძიებამ ვერ შეაღწია — არაფერი გაკეთებულა ადრე ჩაშლილი მუშაობის გაუმჯობესებისთვის.

ერთი ასეთთაგანია **საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მექანიზებული სპეციალიზებული ტრესტი** (მმართველი **თ. ბელტიხინი**, პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე **ს. როსტიაშვილი**).

ამ ორგანიზაციაში ფიზკულტურული მუშაობის ჩაშლისთვის დირექცია და პროფკავშირის კომიტეტი ქალაქისა და რესპუბლიკის პრესამ, ტელევიზიამ, რადიომ რამდენჯერმე გააკრიტიკა, „განთიადის" ცენტრალურმა საბჭომ სხვა საჭირო ღონისძიებებიც გაატარა, მაგრამ ტრესტში, რომ იტყვიან, ყურიც არავინ შეიბერტყა: 1200-მდე მუშა-მოსამსახურე წლების განმავლობაში გამაჯანსაღებელი მუშაობის მიღმაა დარჩენილი.

ზემდგომი ორგანოების ჩარევამ აქ მხოლოდ ის შედეგი გამოიღო, რომ მეთოდისტის შტატი „გამოძებნეს" და უკვე ხუთი სპეციალისტის გამოცვლაც მოასწრეს. ვინაიდან არც დირექცია, არც პროფორგანიზაცია ფიზკულტურული მუშაობის ხელმძღვანელს სათანადო პირობებს არ უქმნიდნენ, მეთოდისტები თავს გაქცევით შველოდნენ.

ერთადერთი ვინც აქ, აგერ ათი წელია, საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტის ადგილზე მუშაობს, ს. ანისოვია. ამის საიდუმლოება ის გახლავთ, რომ იგი ფიზკულტურულ მუშაობას კი არ უძღვება, არამედ პროფკავშირის გაერთიანებულ კომიტეტში სხვადასხვა პროფკავშირულ დავალებებს ასრულებს (?!). იგი ალბათ სხვანაირად ვერც მოიქცევა, რადგან ფიზკულტურის სპეციალისტი არ გახლავთ.

„განთიადის" ცენტრალურმა საბჭომ არაერთგზის მოითხოვა, რომ ფიზკულტურული მუშაობის ნორმალურად წარმართვისთვის შტატში სპეციალისტი აეყვანათ და მისთვის შრომის პირობები შეექმნათ. პასუხად ს. როსტიაშვილმა დრო ითხოვა: მალე ანისოვს სხვაგან გადავიყვანთ და ფიზკულტურულ მუშაობასაც სათანადოდ გავშლითო.

მაგრამ დრო მიდის, აქ კი გამაჯანსაღებელი მუშაობის ამაღლებას სასიკეთო პირი არ უჩანს. უფრო მეტიც, ფიზკულტურული კოლექტივის საბჭო დაიშალა, სპორტული სექციები ჩამოუყალიბებელია, მშდ კომპლექსის ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების გეგმები არ სრულდება, ტურისტული ლაშქრობების ჩატარებაზე, ჯანმრთელობის ჯგუფების შექმნაზე არავინ ზრუნავს. ტრესტში სპორტის პროპაგანდის ვერავითარ ნიშანწყალს ვერ ნახავთ, აქ არავითარი ბაზა, სპორტული ფორმა და ინვენტარი არ გააჩნიათ.

მაინც რამ გამოიწვია ასეთ დიდ ორგანიზაციაში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ჩაშლა? პირველ რიგში დირექციისა და, განსაკუთრებით, პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის უმოქმედობამ.

როცა ს. როსტიაშვილს კომიტეტის სხდომების ოქმების გადათვალიერება ვთხოვეთ, იუარა, მაგრამ ბოლოს უკანასკნელი ორი წლის ოქმების ნახვის უფლება დაგვრთო. აღმოჩნდა, რომ ამ ხნის მანძილზე ფიზკულტურისა და სპორტის მდგომარეობის შესახებ ერთხელაც არ უმსჯელიათ. მხოლოდ შარშან, მარტის დასაწყისში გამართული კომიტეტის სხდომის ოქმშია შეტანილი საქართველოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის XII რესპუბლიკურ სპარტაკიადაში ტრესტის სპორტსმენთა მონაწილეობის საკითხი. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ტრესტის უძლიერეს სპორტსმენთა გამოვლენის მიზნით შიდასაკოლექტივო პირველობები გამართულიყო, მაგრამ არაფერი თქმულა, სად, როგორ და რა ძალებით. დადგენილება დადგენილებად დარჩა — ტრესტის ფიზკულტურელები რესპუბლიკური სპარტაკიადის მიღმა აღმოჩნდნენ.

იქნებ საქმე აქამდე არ მისულიყო, რომ ტრესტის ადმინისტრაციის პარტიულ ორგანიზაციას (მდივანი **ო. გვახალია**) და კომკავშირელთა თავკაცს **ლ. მამაგულაშვილს**, მშრომელთა შორის ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის საკითხი გულთან ახლოს მიეტანათ. ალბათ ამიტომაცაა, რომ მშრომელთა გამაჯანსაღებელი და სასწავლო-სპორტული მუშაობისთვის განკუთვნილი საგრძნობი სახსრები წლობით აუთვისებელი რჩება. მაგალითად, შარშან და შარშანწინ ამ მიზნით გამოყოფილი 3600 მანეთი ხელუხლებლად დარჩა, წლეულს 2130 მანეთიდან ჯერჯერობით კაპიკიც არ დაუხარჯავთ, სპორტინვენტარის შესაძენად გამოყოფილი 1300 მანეთიდან კი რუსთავის საგზაო და სამშენებლო მანქანების შემკეთებელი ქარხნის ფიზკულტურელებისთვის 187 მანეთი მიუციათ, მაგრამ რაში დაიხარჯა ეს ფული, გაერთიანებულ პროფკომში წარმოდგენაც არა აქვთ.

ისიც გვითხრეს, წლეულს ტრესტის ადმინისტრაციამ დაქვემდებარებულ სამმართველოებში კულტმასობრივი ღონისძიებების ჩატარებისთვის 1700 მანეთი გამოჰყო, მაგრამ ვის რად უნდა ეს თანხა თუ იგი კვლავაც ხელუხლებელი დარჩება?

ვფიქრობთ, საქართველოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი იმსჯელებს ტრესტის გაერთიანებული პროფკავშირის კომიტეტის ფიზკულტურისა და სპორტისადმი უსულგულო დამოკიდებულებაზე და ქმედით, გადამჭრელ ზომებს მიიღებს მდგომარეობის სწრაფოდ გამოსასწორებლად.

**ვ. დანელია.**

## ჭადრაკი

### კვლავ ესპანური პარტია

გუშინწინ ბაგიოში (ფილიპინები) ვაჟთა მსოფლიო პირველობაზე ა. კარპოვ—ვ. კორჩნოის მატჩში XXIV პარტია გათამაშდა. როგორც ვიუწყებოდით, ეს შეხვედრა გადაიდო.

აი, ამ პარტიის ჩანაწერი:

**ა. კარპოვი — ვ. კორჩნოი**

**ესპანური პარტია**

**1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. 0-0 მ:e4 6. d4 b5 7. კb3 d5 8. de კe6 9. c3 კe7 10. კc2 მc5 11. h3 0-0 12. ეe1 ლd7 13. მd4 მ:d4 14. cd მb7 15. მd2 c5 16. dc მ:c5 17. მf3 კf5 18. კe3 ეac8 19. ეc1 კ:c2 20. ე:c2 მe6 21. ეd2 ეfd8 22. ლb3 ეc4 23. ეed1 ლb7 24. a3 g6 25. ლa2 a5 26. b3 ეc3 27. a4 ba 28. ba ეc4 29. ეd3 მფg7 30. ლd2 ე:a4 31. კh6+ მფg8 32. ე:d5 ე:d5 33. ლ:d5 ლ:d5 34. ე:d5 კf8 35. კ:f8 მფ:f8 36. g3 მფe7 37. ეb5 მc7 38. ეc5 მe6 39. ეb5 მd8 40. მფg2 h6 41. მd2 ეa1 ამ მდგომარეობაში პარტია გადაიდო.**

როგორც მატჩის სტარტზე, მეტოქეებმა ესპანური პარტიის ღია ვარიანტი გაითამაშეს, ოღონდ ამჯერად პრეტენდენტმა კუ e7-ზე დააყენა და პარტიაც სხვა გზით წარიმართა. შეიქმნა მწვავე მდგომარეობა, რომელშიც მთავარი მოვლენები ლაზიერის ფრთაზე გაჩაღდა.

32-ე სვლაზე დაწყებული გაცვლების შემდეგ პარტია რთულ ენდშპილში გაგრძელდა. ასეთ პოზიციაში იგი გადაიდო კიდეც.

### გუშინ

თამაშის განახლებისას მეტოქეებმა ოთხი სვლა გააკეთეს და მსოფლიო ჩემპიონის წინადადებით პარტია ყაიმით დამთავრდა.

აი, დასკვნითი სვლებიც: 42. მc4 (ჩაწერილი სვლა) 42. ... მc6 43. ეc5 მფd7 44. მb6+ მფc7 45. მc8 მფ:c8. ყაიმი.

ამრიგად, მატჩის ანგარიში კვლავ უცვლელია.

XXV პარტია დღეს უნდა გაიმართოს.

●

**გუშინ ბიჭვინთაში გაიმართა ქალთა შორის მსოფლიო პირველობაზე ნ. გაფრინდაშვილი — მ. ჩიბურდანიძის მატჩის მორიგი, XI პარტია. საინტერესო ბრძოლა შეწყდა 41-ე სვლაზე. გადადებულ პარტიაში უპირატესობა მსოფლიო ჩემპიონის მხარესაა.**

**ამ პარტიის დამთავრება მოხდება დღეს, ხოლო შაბათს, 23 სექტემბერს უნდა გაიმართოს მატჩის XII პარტია.**

**ანგარიშია 6:4 პრეტენდენტის სასარგებლოდ.**

## ტანვარჯიშში
# მწამს მისი შრომისმოყვარეობისა...

**პერუში** საჩვენებელი გამოსვლების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდნენ სსრ კავშირის საუკეთესო ტანმოვარჯიშეები. გუნდში ჩვენი თანამემამულე, ქვეყნის ჩემპიონატის ორი ოქროს მედლის მფლობელი **მალხაზ თათარაძეც** იყო.

— პერუს ორ ქალაქში, ლიმასა და არეკიპაში 5 საჩვენებელი გამოსვლა მოვაწყეთ. — მოგვითხრობს ახალგაზრდა სპორტსმენი.— სამხრეთ ამერიკაში შედარებით სუსტად არის განვითარებული ტანვარჯიში და ბუნებრივია, საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლებმა დიდი ინტერესი გამოიწვია. ლიმაში დაგვითმეს უდიდესი დარბაზი „ამაუტა", სადაც 15 ათასი კაცი ეტევა.



...მალხაზი არაფერს ამბობს იმაზე, რომ პერუს პრესა განსაკუთრებით სვეტლანა გროზდოვასა და მალხაზ თათარაძის ვარჯიშის სინატიფესა და მომხიბლაობას აღნიშნავდა. სულ კი ჩვენი დელეგაციის შემადგენლობაში ათი სპორტსმენი იყო — 6 კაცი და 4 ქალი.

კიდევ ერთი სასიხარულო ცნობა: **ქართველი ტანმოვარჯიშე შეყვანილია სსრ კავშირის ნაკრებ გუნდში**, რომელიც 29 სექტემბრამდე ეშერაში მოემზადება მსოფლიოს პირველობისთვის. ეს შეჯიბრება სტრასბურგში, ოქტომბრის ბოლოს გაიმართება. თუ ვინ დაიცავს ქვეყნის სპორტულ ღირსებას, საბოლოოდ გაირკვევა როსტოვში, სადაც ნაკრები ეშერაში წვრთნის შემდეგ ჩავა. გუნდში 7 სპორტსმენი იქნება. აი ამ შვიდეულში მოსახვედრად ახლა 12 ტანმოვარჯიშე აცხადებს პრეტენზიას: ანდრიანოვი, მარკელოვი, დიტიატინი, ტკაჩოვი, აზარიანი, კრისინი, ტიხონოვი, თათარაძე და სხვები.

მალხაზს სსრ კავშირის პირველობასა და იმ დიდ წარმატებაზე ვეკითხებით.

—. ჩემპიონატის წინ ლესელიძეში გავდიოდით წვრთნას. მწვრთნელებმა (სპორტსმენს ავარჯიშებს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **ო. მიქელაძე**) ტაიჭზე საპრიზო სამეულში მოხვედრა „დამიგეგმეს", ბჯენით ხტომებში — ექვსეული. პირველმა ადგილებმა გამახარა-მეთქი რომ ვთქვა, ცოტა იქნებოდა. შეჯიბრების შემდეგ ვერ იქნა და ველარ დავიძინე. ორი ოქროს მედალი ხუმრობა საქმე როდია. მეამაყებოდა, რომ გავამართლე აღმზრდელთა იმედი, რომ ჩემი, თუნდაც მცირე წვლილი შევიტანე ქართული ტანვარჯიშის წინსვლაში. სხვათა შორის, თბილისში კიდევ ერთი სასიამოვნო ცნობა დამხვდა. ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით საგურამოში, სადაც ახლა თბილისის განათლების განყოფილების ტანვარჯიშული დარბაზია, სადაც 7 წელი ვეუფლებოდი სპორტის ამ სახეობის საიდუმლოებას, აშენდება რესპუბლიკური ოლიმპიური ბაზა. რაღა თქმა უნდა, რომ ამის შემდეგ ჩვენ, ტანმოვარჯიშეებს სპორტული ბაზების ნაკლებობაზე სიტყვა აღარ გვეთქმის...

მალხაზ თათარაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტია. ტანვარჯიშის ანბანს თბილისის განათლების განყოფილების ოლიმპიური რეზერვის სატანვარჯიშო სკოლაში დაეუფლა (დირექტორი **მ. იმნაძე**), რომელიც გ. ეგნატაშვილის სახელს ატარებს.

სპორტსმენი ძალზე ახალგაზრდაა — ჯერ მხოლოდ იწყება სპორტული მწვერვალებისკენ მიმავალი ძნელი და საპატიო გზა.

იქნებ ამიტომაც არის, რომ მისი მწვრთნელებიც, ცნობილი სპორტსმენებიც და ამ მშვენიერი სახეობის თაყვანისმცემლები განსაკუთრებული იმედით შესცქერიან ჭაბუკს.

**მ. ჯუღელი:** ვულოცავ სკოლის კოლექტივს ახალგაზრდა სპორტსმენის დიდ წარმატებას. ჩვენს სკოლებს, რომლებიც საერთო საქმისთვის იბრძვიან, ახლო ურთიერთობა აქვთ და მაინც, ქართული ტანვარჯიშის მდიდარი ტრადიციების აღდგენისთვის კიდევ უფრო საქმიანი, უფრო მჭიდრო კავშირი გვმართებს.

**ო. მიქელაძე:** თუ 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებში ერთი ქართველი ტანმოვარჯიშე მაინც იასპარეზებს, ეს უკვე დიდი წარმატება იქნება. მალხაზ თათარაძეს აქვს ამის შესაძლებლობა, მწამს მისი დიდი შრომისმოყვარეობისა. დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს.

● ● ●

**სურათზე: მ. თათარაძე.**

# ჯესი ოუენსი: „ვმუშაობ ოლიმპიადა-80-სთვის"

**საქდესის სპორტული რედაქციის კორესპონდენტი მოსკოვიდან ტელეფონით დაუკავშირდა ცნობილ ამერიკელ მძლეოსანს, ოთხგზის ოლიმპიურ ჩემპიონს ჯესი ოუენსს. მოგვყავს მასთან საუბარი:**

— ამჟამად მოსკოვის ოლიმპიადისთვის ვმუშაობ, — თქვა ჯესი ოუენსმა. ამერიკის კონტინენტზე საბჭოთა „ოლიმპიური სერიის" მონეტებისა და ოლიმპიური მარკების გამავრცელებელ ფირმაში ვთანამშრომლობ და ეს სამუშაო დიდ სიამოვნებას მანიჭებს. კიდევ ცოტაც და თავად გავხდები ფილატელისტი ან ნუმიზმატი.

აი, ახლაც ჩემს მაგიდაზე დევს რამდენიმე მონეტა და მზეზე ბრჭყვიალებს. უნდა გითხრათ, ისინი ბევრს მოსწონს.

ჯესიმ აღნიშნა, რომ ოლიმპიადა დიდი პოპულარობით სარგებლობს ამერიკელთა უმრავლესობაში და ისინი სიამოვნებით სწირავენ ფულს აშშ-ის ეროვნული გუნდის მოსამზადებლად.

— ახლა, თქვენს მიერ გავლილი გზის შემდეგ. თქვენი აზრით, რა არის მთავარი ოლიმპიურ მოძრაობაში?

— ეს საკმაოდ რთული საკითხია. ოთხ წელიწადში ერთხელ გამართული ოლიმპიური თამაშები დიდ ბიძგს აძლევენ სპორტს. მაგრამ მისი მთავარი არსი ისაა, რომ სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა სოციალური სისტემის წარმომადგენელ ახალგაზრდებს ერთად შეკრების, რამდენიმე კვირის განმავლობაში ერთ ჭერქვეშ ცხოვრების, პურის ერთად გატეხვის საშუალება ეძლევათ. აქ ახალგაზრდები ერთმანეთისგან სწავლობენ. მათს ურთიერთობაზე რამდენად დამოკიდებულია ჩვენი მომავალი.

ჩემი ღრმა რწმენით, ხალხმა თავიანთი ურთიერთდამოკიდებულება ერთმანეთისადმი პატივისცემის პრინციპებზე უნდა ააგოს. მე ვიყავი 1936 წლის ოლიმპიადის მონაწილე. შემდეგ, 1952 წლიდან მოყოლებული, არ გამიცდენია არც ერთი ოლიმპიური თამაშები. მოსკოვის ოლიმპიადაზე ვფიქრობ ჩამოსვლას აშშ-ის სპორტული დელეგაციის შემადგენლობაში, მაგრამ, სამწუხაროდ, არა ათლეტის როლში.

— თქვენ ალბათ არაერთხელ შეხვედრიხართ საბჭოთა სპორტსმენებს.

— რა თქმა უნდა. ყველაზე ხანგრძლივი მეგობრობა მაკავშირებს საბჭოთა მხტომელ იგორ ტერ-ოვანესიანთან. ჩემთვის სასიამოვნო იყო სპორტში მისი პროგრესის, ჩემს თანამემამულე რალფ ბოსტონთან მისი მეტოქეობისთვის თვალყურის დევნება. მაგრამ ყველაზე სასიამოვნო იყო, რომ სპორტმა დაამეგობრა საბჭოთა და ამერიკელი მოქალაქე.

ხშირად შევხვედრივარ თქვენი სპორტის ისეთ „ვარსკვლავებს", როგორებიცაა ვალერი ბრუმელი, ვალერი ბორზოვი.

— შეგიძლიათ იწინასწარმეტყველოთ შედეგები, რომლებსაც აჩვენებენ ოლიმპიური ჩემპიონები იმ სახეობებში, თავის დროზე თქვენ რომ მოიპოვეთ ოქროს მედლები?

— მძლეოსანთა პროგრესს, რა თქმა უნდა, თვალყურს ვადევნებ, მაგრამ გამარჯვებულისა და შესაძლო შედეგების დასახელება ძნელია. შედეგებზე იმდენი ფაქტორი ახდენს გავლენას, რომ ახლა პროგნოზების თქმა უსაფუძვლოა.

ერთი რამ კი შემიძლია ვთქვა: ოლიმპიადა წარმატებით ჩატარდება, თამაშები მაყურებელთა სარეკორდო რაოდენობას მოუყრის თავს და ეს იქნება ყველაზე მთავარი შედეგი. თუ 1936 წელს თამაშებში მონაწილეობდა მხოლოდ ჯესი ოუენსი, ახლანდელ ოლიმპიადას თვალყურს მიადევნებს ყოფილი მძლეოსანი, მისი მეუღლე, სამი ქალიშვილი, მათი ქმრები და 5 შვილიშვილი. შეგიძლიათ ყველანი შეგვიტანოთ მოსკოვის ოლიმპიადა-80-ის მეგობრების სიაში...

**ვ. კუკუშკინი.**



## ხუთი რგოლის ემბლემით

### „კოკა-კოლა" — ოლიმპიელებს

**როგორც** ცნობილია, უალკოჰოლო სასმელების ცნობილმა ამერიკულმა კომპანიამ „კოკა-კოლამ" მოსკოვის „ოლიმპიადა-80"-ის საორგანიზაციო კომიტეტთან ხელშეკრულებით სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისა და მოსკოვის ოლიმპიადის მონაწილენი უნდა უზრუნველყოს თავისი პროდუქციით. ამის თაობაზე მოსკოვში ამასწინათ გაიმართა სპეციალური სიმპოზიუმი, რომლის ორგანიზატორები იყვნენ „ოლიმპიადა-80"-ის საორგანიზაციო კომიტეტი, მოსკოვის აღმასკომის საზოგადოებრივი კვების მთავარი სამმართველო და ფირმა „კოკა-კოლა". სიმპოზიუმში მონაწილეობდა 200-ზე მეტი კაცი, რომლებიც გაეცნენ ამ ფირმის მოწყობილობათა ექსპოზიციას, მათთვის ნაჩვენები იყო ფილმები — „კოკა-კოლას" ფირმის ნაწარმოები „ოლიმპიური სიმფონია" და საბჭოთა სურათი „გიწვევთ ოლიმპიადა!"

### მიკროავტობუსით... სოფელში

**ოლიმპიური** სოფელი მოსკოვში 107 ჰექტარზე გაშენდება. ამ ინტერნაციონალურ ქალაქში 1980 წელს იცხოვრებს მსოფლიოს 12 ათასი საუკეთესო სპორტსმენი. მათთვის ოლიმპიურ სოფელში სპეციალურად გამოიყოფა 20 ავტომატარებელი, რომლებიც „რაფ"-ის მარკის მიკროავტობუსებისაგან შედგება.

### ყველაზე დიდი ბანაკი

**მოსკოვის** ოლქის ხიმკის რაიონის სოფელ ივაკინოს მიდამოებში, მდინარე კლიაზმას ნაპირზე გადაიშლება საერთაშორისო ახალგაზრდული ბანაკი. აქ, 37 ჰექტარ ფართობზე აღიმართება 9-სართულიანი კომფორტაბელური საცხოვრებელი კორპუსი, შენდება სტადიონი, დახურული საცურაო აუზი, სანიჩბოსნო სადგური, პლაჟი. ბანაკში იქნება, აგრეთვე, 500-ადგილიანი რესტორანი, კინოთეატრი 800 კაცისათვის, ფოსტა, ტელეგრაფი, საცეკვაო მოედნები, ჯიხურები სუვენირებისთვის. საერთაშორისო ბანაკი ყველაზე დიდი იქნება ოლიმპიადების ისტორიაში. აქ დაახლოებით 100 ქვეყნის 2.000 ჭაბუკი და ქალიშვილი იცხოვრებს. ისინი დაესწრებიან თამაშების საზეიმო გახსნისა და დახურვის ცერემონიალს, ოლიმპიურ შეჯიბრებებს, მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვის ოლიმპიადის კულტურულ პროგრამაში.

### ახალი ნომრები

**გამოვიდა** მოსკოვის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის ბეჭდვითი ორგანოების ყოველკვარტალური ილუსტრირებული ჟურნალის „ოლიმპიური პანორამის" მეშვიდე და ყოველთვიური ჟურნალის „ოლიმპიადა-80"-ის მეთვრამეტე ნომრები.

პირველ მათგანში გამოქვეყნებულია სსრ კავშირში ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობისადმი მიძღვნილი რამდენიმე მასალა; ცნობა „ელექტრონული დამხმარენი"; კორესპონდენციები ლენინგრადიდან, კიევიდან, მინსკიდან (სადაც გაიმართება ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირები ფეხბურთში); რეპორტაჟები ოლიმპიური სოფლიდან და კრილატსკოედან; ნარკვევები საბჭოთა სპორტის ოსტატებზე; მასალა რუსულ ბალეტზე.

ჟურნალი „ოლიმპიადა-80"-ის (რომელიც თბილისის „სოიუზპეჩატის" ჯიხურებშიც გაიყიდება) ფურცლებზე წაიკითხავთ, როგორ ემზადება ქალაქი მინსკი ოლიმპიადის ტურნირისათვის, „ინტურისტის" წვლილზე მომავალ ოლიმპიადაში; სტატიას—„მოსკოვის ოლიმპიური პალიტრა"; სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიოს რეკორდსმენ ვ. იაშჩენკოსთან ინტერვიუს და სხვა.

### გამოფენის თემაა „ოლიმპიადა-80"

**„მოსკოვი** — ოლიმპიადა-80-ის დედაქალაქი" — ასეთია თემა ფოტოგამოფენისა, რომელიც 18 აგვისტოს გაიხსნა შერემეტიევოს საერთაშორისო აეროდრომზე. სტენდებზე წარმოდგენილია საქდესის ცნობილ ფოტოოსტატთა 130-მდე ნამუშევარი. მათი მეშვეობით დედაქალაქის სტუმრები გაეცნობიან არა მარტო საბჭოთა სპორტსმენებს, რომლებმაც მოიპოვეს ოლიმპიური მედლები, დაამყარეს მსოფლიო რეკორდები, არამედ მასობრივ-ფიზკულტურულ მოძრაობას — დიდი სპორტული ტალანტების ამოუწურავ წყაროს. უეჭველად დიდ ინტერესს გამოიწვევს ფოტოსურათები მოსკოვზე — ქალაქზე, სადაც 1980 წელს გაიმართება ოლიმპიური თამაშები.

როგორც ცნობილია, ოლიმპიადა-80-ში გათვალისწინებულია დიდი კულტურული პროგრამა. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ გამოფენაზე ექსპონირებულია აგრეთვე, საბჭოთა ხელოვნების ვარსკვლავთა ფოტოსურათები.

XXII ოლიმპიადის დედაქალაქისადმი, საბჭოთა სპორტის მიღწევებისადმი მიძღვნილი ასეთივე გამოფენები და ექსპოზიციები დემონსტრირებული იქნება 25 ქვეყანაში.

გამოფენა მოაწყო ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტმა, სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტრომ და საკავშირო დეპეშათა სააგენტომ. (საქდესი).

# სელაპი — დათუნიას მეწყვილე



**მოსკოვის** ოლიმპიადა-80-ის მხიარული ემბლემა — პატარა დათუნია „მიშა", რომელიც მოსკოველმა მხატვარმა ვიქტორ ჩიჟიკოვმა შექმნა, უკვე დიდად პოპულარული გახდა სპორტულ სამყაროში.

და აი ახლახან გაჩნდა მისი, ასე ვთქვათ, მეწყვილე — ტალინის საიაფროსნო რეგატის სახუმარო თილისმა, პატარა სელაპი. მისი ავტორია მხატვარი საიმა სიმერი — ესტონეთში გამართული ოლიმპიური სიმბოლიკის კონკურსში გამარჯვებული.

ტალინის ერთ-ერთ სპეციალიზებულ მაღაზიაში უკვე შეხვდებით „ოლიმპიურ" სელაპს, რომელიც კერამიკაზე, ჭიქებზე, ქუდებზე, ცხვირსახოცებზეა გამოსახული.

„ოლიმპიადა-80"-ის საორგანიზაციო კომიტეტმა ესტონეთის საწარმოთა თითქმის 500 საქონელს მისცა უფლება გამოიყენოს ოლიმპიური სიმბოლიკა.

● ● ●

**სურათზე: „ოლიმპიური" სელაპი.**



# ხვალ გორის საჭიდაო სარბიელზე...

**ჯუდოობის** გულშემატკივართათვის ცნობილია გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტული ტრადიციები. აქ განსაკუთრებით კარგადაა განვითარებული ძიუდო. გორელი სტუდენტები მთელი 20 წლის მანძილზე მხოლოდ სამჯერ დარჩნენ საკავშირო პირველობებში საპრიზო ადგილების მიღმა. ინსტიტუტის ნაკრებს სათავეში უდგას საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გურამ პაპიტაშვილი, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის გორში სპორტის ამ სახეობის დანერგვისა და განვითარების საქმეში, სწორედ მისი აღზრდილია ოლიმპიური ჩემპიონი შოთა ჩოჩიშვილი, რომელიც თბილისის ამასწინანდელ საერთაშორისო ასპარეზობაზე მიღებული ტრავმის მიუხედავად, ისევ ჩადგა მწყობრში და დაუღალავი ვარჯიშის შედეგად შეძლო კვლავ დაემკვიდრებინა ადგილი ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში.

— **შოთა შესანიშნავ ფორმაშია, — გვითხრა მწვრთნელმა, ტრავმამ სრულიად გაუარა. ოლიმპიურ ჩემპიონს ახლა ფსიქოლოგიური ბარიერილა აქვს დასაძლევი — მოგეხსენებათ, ასეთ დროს კაცი ერთხანს მაინც სიფრთხილით ექცევა ნატკენ ფეხს...**

წელს, 1-5 ნოემბერს ბრაზილიაში ჩატარდება სტუდენტ ძიუდოისტთა მსოფლიო პირველობა, სადაც, რასაკვირველია, საბჭოთა ფალავნებიც იასპარეზებენ. ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელად დანიშნულია გ. პაპიტაშვილი.

— **ერთი თვის შემდეგ პოდოლსკში შევუდგებით სამზადისს მსოფლიო პირველობისათვის. ნაკრების 25 კანდიდატს შორის არიან ქართველი ძიუდოისტები: შ. ჩოჩიშვილი, დ. კოდანოვი, დ. ხაბულიანი და გორის პედაგოგიური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი ბ. გოგიჩაშვილი (აღსანიშნავია, რომ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება ენიჭებათ იმ მოჭიდავეებსაც, რომლებმაც 1977-78 წლებში დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებლები).**

**22-25 სექტემბერს გორში ჩატარდება „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს თასის გათამაშება, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ქვეყნის 15 მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები. საქართველოს ნაკრები ორი შემადგენლობით იასპარეზებს. ზემოთ ჩამოთვლილ სპორტსმენთა გარდა გორის საჭიდაო სარბიელზე გამოვლენ ტ. მუთოშვილი, ნ. ვათიაშვილი, ნ. ნუგზარიშვილი, მ. ალბორიშვილი და სხვები.**

• • •

**ს უ რ ა თ ზ ე: საქართველოს სტუდენტთა ნაკრები გუნდი ასპარეზობისთვის ემზადება.**

**მ. ზარგარიანის ფოტო.**

## ნაკრების გამარჯვება

გუშინ ერევანში გაიმართა ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი VI ჯგუფის გუნდებს შორის. საბჭოთა ფეხბურთელებმა მიიღეს საბერძნეთის ნაკრები გუნდი.

ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა.

გოლები გაიტანეს: ჩესნოკოვმა და ბესონოვმა.

სსრ კავშირის ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: დეგტიაროვი, კონკოვი, ჟუპიკოვი, ბერეჟნოი, ბუბნოვი, პრიგოდა, ბურიაკი, ჩესნოკოვი, ბესონოვი, ხიდიატულინი (ანი), ბლოხინი.

## ირანელთა 2 მატჩი

**ბაქო.** აქ სტუმრად იმყოფებოდა ირანის ფეხბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები, რომელიც ემზადება აზიის თამაშებისთვის.

ირანელებმა ფრედ დაამთავრეს მატჩი ბაქოს „ავტომობილისტთან“ — 1:1, ხოლო „ნეფთჩისთან“ წააგეს — 0:1.

## საფეხბურთო კალეიდოსკოპი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

### I ჯგუფი

**„სალხინო“ (გეგეჭკორი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 0:0. მსაჯი მ. მიქაუტაძე (ქუთაისი).**

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) 3:2. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).**

მატჩის დასაწყისი სტუმრების წარმატებით აღინიშნა: ანგარიში გახსნა ჩუბინიძემ, ხოლო შემდეგ ფრუიძემ მეორედ აიღო მეტალურგების კარი. ასე დამთავრდა შეხვედრის პირველი ნახევარი. მეორე ტაიმში ინიციატივამ მთლიანად „მეტალურგის“ მხარეს გადაინაცვლა: ხუჯაძემ, გლინიანოვმა და მაჭავარიანმა შეძლეს 3 ბურთის გატანა „ენერგეტიკოსის“ კარში და ზესტაფონელებმა გამარჯვებულებმა დატოვეს მინდორი.

**„სქური“ (წალენჯიხა) — „მადაროელი“ (ჭიათურა) 2:1. მსაჯი ლ. ლონლაძე (თბილისი).**

პირველ ტაიმში წარმატებას მიაღწია წალენჯიხელმა ლეჟავამ. 53-ე წუთზე ზარქუამ ორამდე გაზარდა ანგარიში და მხოლოდ მატჩის დასასრულს შეძლეს ჭიათურელებმა დაეღწიათ თავი „მშრალი“ ანგარიშით დამარცხებისთვის (ოსაძე).

**„კოლხეთი“ (ხობი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 1:0. მსაჯი ვ. გაბისკირია (სოხუმი).**

**„ნადიკვარი“ (თელავი) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 1:1. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).**

მე-13 წუთზე დაწინაურდნენ თელაველები (აბდულაევი), მაგრამ შესვენების შემდეგ საჩხერელმა წიკლაურმა შეძლო წონასწორობის აღდგენა.

* * *

ქარელის „იბერია“ არ გამოცხადდა თამაშზე ყვარელში. ეს გუნდის მეორე გამოუცხადებლობაა მიმდინარე ჩემპიონატში, ამიტომ იგი მოიხსნა გათამაშებიდან. ვინაიდან ქარელის „იბერიას“ ნათამაშევი აქვს შეხვედრათა 50 პროცენტზე მეტი, დარჩენილ კალენდარულ მატჩებში მის მეტოქეებს ჩაეთვლებათ გამარჯვებები.

### გათამაშების ცხრილი

#### I ჯგუფი

**მდგომარეობა 20 სექტემბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხ.“ ფ. | 33 | 22 | 7 | 4 | 72—26 | 51 |
| „მეტალ.“ რ. | 31 | 21 | 5 | 5 | 52—23 | 47 |
| „მეშახტე“ | 30 | 19 | 7 | 4 | 49—22 | 45 |
| „მზიური“ | 29 | 17 | 5 | 7 | 48—27 | 39 |
| „მერცხალი“ | 28 | 13 | 10 | 5 | 46—25 | 36 |
| „კოლხ.“ ხ. | 33 | 12 | 11 | 10 | 33—31 | 35 |
| „მადაროელი“ | 28 | 14 | 6 | 8 | 49—37 | 34 |
| „ენერგეტ.“ | 32 | 13 | 8 | 11 | 44—40 | 34 |
| „ნადიკვარი“ | 33 | 9 | 12 | 12 | 41—45 | 30 |
| „ივერია“ | 33 | 11 | 8 | 14 | 28—42 | 30 |
| „ჩიხურა“ | 32 | 10 | 9 | 13 | 45—44 | 29 |
| „ამირანი“ | 31 | 11 | 7 | 13 | 28—40 | 29 |
| ფიზკ. ინსტ. | 34 | 12 | 5 | 17 | 41—63 | 29 |
| „სქური“ | 31 | 11 | 6 | 14 | 45—42 | 28 |
| „მეტალ.“ ზ. | 31 | 9 | 10 | 12 | 42—43 | 28 |
| „სპარტ.“ თბ. | 31 | 11 | 6 | 14 | 37—42 | 28 |
| ასკ თბ. | 26 | 9 | 9 | 8 | 30—26 | 27 |
| პოლ. ინსტ. | 30 | 12 | 3 | 15 | 49—49 | 27 |
| „სპარტ.“ ც. | 32 | 9 | 8 | 15 | 44—47 | 26 |
| „სალხინო“ | 29 | 8 | 9 | 12 | 37—52 | 25 |
| „დურუჯი“ | 31 | 10 | 2 | 19 | 23—45 | 22 |
| „ივრისი“ | 31 | 5 | 10 | 16 | 23—45 | 20 |

### II ჯგუფი

#### I ზონა

„ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „ფიჩხოვანი“ (ალვანის საბჭოთა მეურნეობა) 3:4, „ვარეჯი“ (საგარეჯო) — „მესხეთი“ (ახალციხე) 2:2, „განთიადი“ (თბილისი) — „სიონი“ (ბოლნისი) — 2:3, „ქართლი“ (გორის რაიონი) — „განახლება“ (ადიგენი) — 3:2, ტაქსომოტორი № 3 (თბილისი) — „არაგვი“ (მცხეთა) 3:2, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „ცისკარი“ (სიღნაღი) 3:0. თეთრი წყაროს „გარისს“ გამარჯვება ჩაეთვალა ახალქალაქის „აბულთან“.

#### II ზონა

„სულორი“ (ვანი) — „მექალაქე“ (ზუგდიდი) 2:1, „იმერეთი“ (წულუკიძე) — „გიგანტი“ (ლანჩხუთი) 3:1, „ჩამომსხმელი“ (ბორჯომი) — „ოჯალეში“ (ბანძა) 5:1, „მეშაქრე“ (აგარა) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 1:1, „ნარუჯა“ (მახარაძე) — „ავტომობილისტი“ (ბათუმი) 2:1, „სენაკი“ (ცხაკაია) — „ავტომობილისტი“ (მაიაკოვსკი) 3:1. ქობულეთის „შუქურას“ გამარჯვება ჩაეთვალა ტყვარჩელის „შახტიორთან“.

## უმაღლესი ლიგა

19 სექტემბერს ალმა-ათაში შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის [illegible] მატჩი [illegible] „ქაირათსა“ და [illegible] შორის. გაიმარჯვა „ქაირათმა“ — 2:0. გოლები გაიტანეს ბაიშაკოვმა და გოროხოვოდაცკიმ.

## მიუნხენსა და ლისაბონში

უეფა-ს გადაწყვეტილებით, ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური მატჩი დაინიშნა 1979 წლის 30 მაისს მიუნხენში.

16 მაისს ლისაბონში გაიმართება თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალური მატჩი.

●

## საჯარიმო დარტყმა

რესპუბლიკურ გათამაშებებში კვლავ გრძელდება ფეხბურთელთა უხეშობა და ხულიგნური საქციელი. მინდვრიდან გააძევეს ბოლნისის „სიონის“ მოთამაშე მ. ჯაფარიძე და თბილისის „განთიადის“ წევრი ი. ოგანეზოვი, რომლებმაც ერთმანეთს შორის მუშტი-კრივი გამართეს. ხულიგნური საქციელისთვის, აგრეთვე გააძევეს მინდვრიდან ლაგოდეხელი გ. ისაევი.

მეორე გაფრთხილება მიიღო წულუკიძის „იმერეთის“ მოთამაშემ ა ახვლედიანმა, რომელიც დისკვალიფიცირებულია 1 თამაშით.

**საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.**

## „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ 37-ე ტირაჟებისა, რომლებიც 16 სექტემბერს მოსკოვში მოეწყო.

„სპორტლოტოს“ 6-49-დან მოგებები ასეთია:

**პირველი:** ექვსი (შეღავათიანი ბურთულით) ციფრის გამოცნობისთვის მოგება 1574 მანეთია, ხუთისთვის — 574, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 63, ოთხისთვის — 43, სამისთვის — 3.

**მეორე:** ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 1407 მანეთია, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 72, ოთხისთვის — 47, სამისთვის — 3.

„სპორტლოტოს“ 5-36-დან მოგებები ასეთია:

**პირველი:** ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 1900 მანეთია, ოთხისთვის — 93, სამისთვის — 5.

**მეორე:** ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის — 314, სამისთვის — 7.

„სპორტლოტოს“ 37-ე ტირაჟების მოგებათა განაღდება იწარმოებს 27 სექტემბრიდან 27 ოქტომბრის ჩათვლით.

# გამოხვედი მოედანზე — ითამაშე

## ფრენბურთი

„ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფივბ) სახელით მინდა მადლობა მოვახსენო სსრ კავშირს, სსრ კავშირის ფრენბურთის ფედერაციას, რიგის, მინსკის, ვოლგოგრადის და ლენინგრადის საორგანიზაციო კომიტეტებს ქალთა გუნდების 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესანიშნავი მომზადებისა და ჩატარებისთვის, — თქვა ფრენბურთელი ქალების მსოფლიო ფორუმის საზეიმო დახურვაზე ფივბ-ის პრეზიდენტმა პ. ლიბომ (საფრანგეთი). — მადლობელი ვარ ყველა მწვრთნელისა — გუნდების შესანიშნავად მომზადებისთვის, ყველა მონაწილისა — მათ მიერ მეგობრული გარემოს შექმნისთვის“.

„სსრ კავშირში ყველაფერი გააკეთეს ფრენბურთის განვითარებისთვის, რაც ყველაზე მთავარია, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისთვის, — განაგრძო ლიბომ, — მიმდინარე შეჯიბრებისა და მომავალი ოლიმპიადის წარმატებას ვუკავშირებ იმ ამბავს, რომ საბჭოთა სახელმწიფო დიდ ყურადღებას უთმობს სპორტის, კერძოდ კი ფრენბურთის განვითარებას“.

„სწორედ შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარება ხელს უწყობს ფრენბურთის პოპულარიზაციას ყველა კონტინენტზე“ — თქვა დასასრულს ლიბომ.

აი როგორ კომენტარს უკეთებს დამთავრებულ ტურნირს სახლების სპორტული მიმომხილველი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი გ. ლეონტიევა:

— ძნელია იმ გუნდის დამარცხებაზე წერო, რომელთანაც ცხოვრების არაერთი წელი გაკავშირებს. შეგვეძლო ჩემპიონატში გამარჯვება? დიახ, შეგვეძლო. ოლიმპიადა — 76-ის შემდეგ სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელმა ვ. ტიურინმა მკვეთრად გაახალგაზრდავა შემადგენლობა, რამაც სავრძნობი ნაყოფი გამოიღო. ჩვენ კვლავ ვუგებდით ოლიმპიურ ჩემპიონებს — იაპონელ ფრენბურთელებს: გუნდმა აალაპარაკა მწვრთნელებიც, ჟურნალისტებიც. ჩემპიონატის წინ გუნდს ერთხმად უწინასწარმეტყველებდნენ წარმატებას. მაგრამ კუბელთა შესანიშნავ ანსამბლთან დამარცხებამ ყოველგვარი იმედი გადაგვიწურა. მატჩის დასაწყისი კი თითქოს არაფითარ საგანგაშოს არ გვიქადდა. პირველი პარტია მოვიგეთ — 15:12. მეორეშიც წარმატებასთან ახლოს ვიყავით — 14:13, მაგრამ „დაბოლოება“ მაინც წავაგეთ.

ჩვენმა გოგონებმა კი ყველაფერი იციან. მე მხოლოდ წლეულს დავამთავრე სსრ კავშირის ჩემპიონატში თამაში და ახალგაზრდა ფრენბურთელების ოსტატობა ჩემს თვალწინ იზრდებოდა. რაღაც ორიოდე წელიწადში ისინი ექსტრაკლასის ფრენბურთელები გახდნენ. მებრძოლური ხასიათი ზოგიერთ მათგანს, სწორედ რომ აკლდა. თუმცა ობიექტურად რომ ვთქვათ, მაკოგონოვას დაშავებამ მკვეთრად შეამცირა ნაკრების შეტევითი შესაძლებლობები. მაგრამ გუნდში ხომ დარჩნენ სხვა „ბომბარდირები“. იგივე ლ. ჩერნიშოვა, მაგრამ მრავალი საპასუხისმგებლო ტურნირების მონაწილემ, მან თავისთავზე ვერ აიღო ლიდერის როლი, ვერ გამოავლინა ამ სიტუაციაში აუცილებელი ნებისყოფა და ხასიათი.

ყველაზე თბილ სიტყვებს იმსახურებენ კუბელები. მათი თამაში, უდავოდ, ჩემპიონატის პირველი სენსაციაა. გუნდი ახალგაზრდულია, შესანიშნავი ფიზიკური მონაცემებით. მისი სტიქია შეტევაა, ამასთან ყველა ფრენბურთელი მძლავრ დარტყმას ფლობს. ეს საშუალებას აძლევს მათ ნებისმიერ დროს შეცვალონ შეტევაში ტაქტიკური ნახაზი.

თითქოს მთელი მატჩიც და ბრძოლაც წინ იყო! მაგრამ ჩვენი ქალები დაიბნენ, ისე თამაშობდნენ, თითქოს დაივიწყეს, რასაც ვარჯიშზე სწავლობდნენ. სწორხაზობრივი მოქმედებით ისეთ ძლიერ გუნდთან, როგორიც კუბისაა, ვერ გაიმარჯვებ: საჭირო იყო ტაქტიკური მოქნილობა, რომელიც ჩვენ გუნდს სწორედ რომ აკლდა. სსრ კავშირის გუნდი ერთფეროვნად თამაშობდა, მიუტევებელ ტექნიკურ შეცდომებს უშვებდა, ამასთან ზოგიერთ ფრენბურთელს ამ მომენტში არ ეყო მებრძოლური თვისებები. ჩვენს გუნდში ამ ძნელ წუთებში სამაგალითონი იყვნენ ნ. სმოლეევა, ლ. შჩეტინინა და სერიოზული დაშავების მიუხედავად მოედანზე დარჩენილი ი. მაკოგონოვა. მაგრამ სამი, თუნდაც შესანიშნავი, ფრენბურთელით მატჩის მოგება შეუძლებელია.

დაცვაშიც კუბელები არანაკლებ დახელოვნებული და გამჭრიახნი არიან, ვიდრე საუკეთესო აზიური გუნდები. მათი მაღალი ბლოკი თითქმის გაუვალია. კუბელები გუშინდელი მოწაფეებიდან მასწავლებლებად მოგვევლინენ. მათ აქეთ, რაც უნდა გადმოვიღოთ, ხოლო მოსკოვის ოლიმპიადაზე ისინი კიდევ უფრო ძლიერები იქნებიან: ბევრი მათგანისთვის მსოფლიო ჩემპიონატი პირველი დიდი საერთაშორისო შეჯიბრება იყო. ერთი სიტყვით, კუბელთა გამარჯვება სავსებით დამსახურებულია.

ყოველგვარი დამარცხება საწყენია, გასაკუთრებით, როცა გამარჯვებას ელი. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩვენი ფრენბურთელები სწორ დასკვნებს გამოიტანენ და ოლიმპიადა — 80-ზე საუკეთესო თვისებებს გამოავლენენ.

და ბოლოს, ვფიქრობ ჩემპიონატის ფინალური ნაწილის ოლიმპიური სისტემით ჩატარება სწორი არაა. ჩემი აზრით, უნდა დავუბრუნდეთ წრიულ სისტემას: ფინალის ყოველი მონაწილე ერთმანეთს უნდა შეხვდეს. ასეთი სისტემა შემთხვევითობას გამორიცხავს.

**რედაქტორი ა. ბასილაია.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-58; ქალაქის — 93-97-26; სამატჩო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-02-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-53; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66435
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 10189